1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 2 აპრილი № 11 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

60. კოლმეურნეობათა მიერ 1941 წლისათვის ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ნორმების შესახებ.
61. სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის დამატებითი გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

62. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ მილიციის დარგში ამხ. ი. ნ. გუჯაბიძის დანიშვნის შესახებ.
63. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. შ. თ. გოგიას დანიშვნის შესახებ.
64. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ ამხ. ნ. მ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.
65. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ვ. რ. კვირიკაშვილის დანიშვნის შესახებ.
66. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ი. გუგუჩიას დანიშვნის შესახებ.
67. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ ამხ. კ. ა. ბერიშვილის დანიშვნის შესახებ.
68. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. მ. ვ. ალავერდაშვილის განთავისუფლების შესახებ.
69. კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის რძის ჩაბარების ვალდებულებების გლეხური სრულცხიმოვანი ყველის ჩაბარებით შესრულების ნებართვის მიცემის შესახებ.
70. საზოგადოება „სპარტაკი"-ს ცენტრალური და ადგილობრივი განყოფილების მუშაობისათვის 1940 წელს მომქმედი სარეწაო კოოპერაციის არტელებისა და საქართველოს სსრ სარეწაო დამზღვევი სალაროს კულტფონდის და მოგებათა ყოველკვარტალური ანარიცხების 1941 წლისათვის შენარჩუნების შესახებ.
71. ქართლის რაიონებში ხილის ნარგავების აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

60. კოლმეურნეობათა მიერ 1941 წლისათვის ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ნორმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს 1941 წლისათვის ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში მიწის ფართობის (სახნავი მიწის, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები) კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული 100 ჰექტარიდან კოლმეურნეობათა მიერ ცხვრისა და თხის ტყავის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი საშუალო წლიური ნორმები:

1. ახალქალაქის	რაიონი	10	
2. ბოგდანოვკის	„	10	
3. ახალციხის	„	5	
4. ადიგენის	„	5	
5. ასპინძის	„	5	
6. ხაშურის	„	5	
7. ქარელის	„	5	
8. გორის	„	5	
9. კასპის	„	10	
10. ბორჯომის	„	10	
11. ლუქსემბურგის	„	10	
12. წალკის	„	10	
13. დუშეთის	„	10	
14. თეთრიწყაროს	„	10	
15. საგარეჯოს	„	10	
16. ბაშკიჩეთის	„	10	
17. თიანეთის	„	10	
18. ყაზბეგის	„	20	
19. ქუთაისის	„	3	
20. წყალტუბოს	„	3	
21. სამტრედიის	„	3	
22. წულუკიძის	„	3	
23. ვანის	„	3	
24. მაიაკოვსკის	„	3	
25. ზესტაფონის	„	3	
26. ჩხარის	„	3	
27. ჭიათურის	„	3	
28. საჩხერის	რაიონი	3	
29. ორჯონიკიძის	„	3	
30. ტყიბულის	„	3	
31. ონის	„	3	
32. ამბროლაურის	„	3	
33. ცაგერის	„	3	
34. აბაშის	„	3	
35. ცხაკაიას	„	3	
36. გურჯაანის	„	10	
37. სიღნაღის	„	20	
38. წითელწყაროს	„	20	
39. თელავის	„	20	
40. ყვარლის	„	10	
41. ლაგოდეხის	„	10	
42. თბილისის	„	20	
43. მცხეთის	„	10	
44. ყარაიას	„	20	
45. ბორჩალოს	„	20	
46. გეგეჭკორის	„	3	
47. ზუგდიდის	„	3	
48. ხობის	„	3	
49. წალენჯიხის	„	3	
50. ჩხოროწყუს	„	3	
51. მახარაძის	„	3	
52. ლანჩხუთის	„	3	
53. ჩოხატაურის	„	3	
54. ფოთის	„	3	

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ

სოხუმის რაიონი	10
გაგრის „	10
ოჩემჩირის „	5
გუდაუთის „	10
გალის „	5

აჭარის ასსრ

ბათუმის რაიონი	5
ქობულეთის „	5
ქედის „	5
ხულოს „	5

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

სტალინირის რაიონი	10
ზნაურის „	10
ლენინგორის „	20
ჯავის „	10

2. დაშვებულ იქნას ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რწმუნებულთა დამტკიცებით, სახელმწიფოსათვის ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების წლიური რაოდენობრივი ნორმის გადიდება ან შემცირება 30%-ის ფარგლებში იმ პირობით, რომ აუცილებლად იქნას დაცული რაიონში ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ნორმები, რაც საშუალოდ დაწესებულია რაიონისათვის.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 18 იანვრის № 94 დადგენილება „1941 და 1942 წლებისათვის კოლმეურნეობათა მიერ ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ნორმების შესახებ".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 11 მარტი № 373.
თბილისი.

---

61. სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის დამატებითი გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1940 წლის 2 ოქტომბერს „სახელმწიფო შრომითი რეზერვების" შესახებ გამოცემული ბრძანებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების საფუძველზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაწვეულ (მობილიზებულ) იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებიდან სარკინიგზო მშენებლობისათვის მასობრივი პროფესიების საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად 2.000 კაცი—კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის რიცხვიდან, მამობრივი სქესისა, რომლებსაც 16—17 წელი შეუსრულდათ. გაწვევა (მობილიზაცია) ჩატარდეს 1941 წლის 20 მარტიდან 5 აპრილამდე.

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებისათვის სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად გასაწვევი (მობილიზებული) კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის შემდეგი კონტინგენტი:

№№	რაიონები	მობილიზაციის წესით გასაწვევი კოლმ. და სხვ. ახალგაზრდობ. საერთო რაოდენ.
1	ბათუმის რაიონი	20
2	ქედის „	10
3	ქობულეთის „	10
4	ხულოს „	10
5	სოხუმის „	40
6	გაგრის „	30
7	გალის „	50
8	გუდაუთის „	50
9	ოჩემჩირის „	80
10	ჯავის „	20
11	ზნაურის „	30
12	ლენინგორის „	30
13	სტალინირის „	30
14	აბაშის „	30
15	ადიგენის „	30
16	ამბროლაურის „	30
17	ასპინძის „	30
18	ახალქალაქის „	80
19	ახალციხის „	60
20	ბაშკიჩეთის „	40
21	ბოგდანოვკის „	50
22	ბორჩალოს „	40
23	ვანის „	30
24	გეგეჭკორის „	40
25	გორის „	40

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	რ ა ი ო ნ ე ბ ი	მობილიზაციის წესით გასული წვევი კოლმ. და სხვ. ახალგაზრდობ. საერთო რაოდენ.
26	გურჯაანის რაიონი	40
27	დუშეთის „	40
28	ზესტაფონის „	30
29	ზუგდიდის „	40
30	ყაზბეგის „	10
31	ყარაიას „	10
32	ქარელის „	30
33	კასპის „	40
34	ყვარლის „	40
35	ქ/სვანეთის „	20
36	ლაგოდეხის „	40
37	ლანჩხუთის „	40
38	ლუქსემბურგის „	20
39	მაიაკოვსკის „	20
40	მახარაძის „	10
41	ო ნ ი ს „	20
42	ორჯონიკიძის „	30
43	მცხეთის „	30
44	საგარეჯოს „	30
45	საჩხერის „	30
46	სიღნაღის „	40
47	თეთრი-წყაროს „	30
48	თელავის „	40
49	თიანეთის „	30
50	თბილისის „	30
51	ხაშურის „	30
52	ხობის „	40
53	ცაგერის „	20
54	წალენჯიხის „	30
55	წალკის „	60
56	წითელწყაროს „	50
57	ცხაკაიას „	40
58	წყალტუბოს „	20
59	ჩოხატაურის „	20
60	ჩხარის „	20
61	ჩხოროწყუს „	20

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს ამ დადგენილების მეორე მუხლში ჩამოთვლილი რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) არაუგვიანეს 1941 წლის 20 მარტისა გაანაწილონ კოლმეურნე ახალგაზრდობიდან გასაწვევ პირთა რაოდენობა კოლმეურნეობებს შორის;

ბ) სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევის ჩასატარებლად შექმნან რაიონებში კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), რაიონის პროფორგანიზაციის წარმომადგენელი და საქ. ალკკ რაიონული კომიტეტის მდივანი;

გ) სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში სასწავლებლად კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევა დაიწყოს 1941 წლის 20 მარტიდან და დამთავრდეს 5 აპრილს;

დ) დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომთა გამწვევ კომისიებს მტკიცედ იხელმძღვანელონ ინსტრუქციით სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევის მობილიზაციის შესახებ;

ე) უზრუნველჰყონ სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გასაწვევი ახალგაზრდობის მომარაგება კოლმეურნეობათა ხარჯზე ზედა ტანისამოსით, ფეხსაცმლით, ორი წყვილი საცვლით, საკვები პროდუქტებით, რაც საკმარისი იქნება გზაში დანიშნულების ადგილზე მისვლამდე, და დაუთმონ გაწვეულ ახალგაზრდობას გადასაყვანი საშუალებანი რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად.

4. დაევალოს რაიონულ კომისიებს უზრუნველჰყონ გაწვეული კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის სათანადო სამედიცინო გასინჯვა და თითოეულ გაწვეულს ხელზე მისცენ სარკინიგზო მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის საგზური სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან აოსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმისა. საგზურს ხელს უნდა აწერდეს კომისიის თავმჯდომარე და უნდა დაეკრას მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ბეჭედი.

5. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების პირველ მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ყოველდღიურად მოაწოდონ ინფორმაცია ცენტრალურ კომიტეტსა და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გაწვევის მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 15 მარტი № 417.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

62. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ მილიციის დარგში ამხ. ი. ნ. გუჯაბიძის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკოლოზის-ძე გუჯაბიძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეთ მილიციის დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 374.
თბილისი.

63. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. შ. თ. გოგიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. შალვა თეიმურაზის-ძე გოგია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 375.
თბილისი.

---

64. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ ამხ. ნ. მ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 376.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ვ. რ. კვირიკაშვილის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვარლამ რომანოზის-ძე კვირიკაშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 377.
თბილისი.

---

66. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ი. გუგუჩიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ილარიონის-ძე გუგუჩია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 378.
თბილისი.

---

67. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ ამხ. კ. ა. ბერიშვილის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე ალექსის-ძე ბერიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 13 მარტი № 379.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. მ. ვ. ალავერდაშვილის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. მ. ვ. ალავერდაშვილი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 15 მარტი № 397.
თბილისი.

---

69. კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის რძის ჩაბარების ვალდებულებების გლეხური სრულცხიმოვანი ყველის ჩაბარების შესრულების ნებართვის მიცემის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 7 მარტის № 460/309 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ იმ რაიონების კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომლებშიაც ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ გაუხსნია მოუხდელი რძის მისაღები პუნქტები, შეასრულონ რძის ჩაბარების ვალდებულებანი გლეხური სრულცხიმოვანი ყველის ჩაბარებით შემდეგი ეკვივალენტით: ერთი კილოგრამი სრულცხიმოვანი ყველი 9 ლიტრი რძის ნაცვლად.

2. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ მისცენ რაიონებს ამ დადგენილების პირველ პუნქტიდან გამომდინარე სათანადო მითითებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 15 მარტი № 412.
თბილისი.

---

70. საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური და ადგილობრივი განყოფილების მუშაობისათვის 1940 წელს მომქმედი სარეწაო კოოპერაციის არტელებისა და საქართველოს სსრ სარეწაო დამზღვევი სალაროს კულტფონდის და მოგებათა ყოველკვარტალური ანარიცხების 1941 წლისათვის შენარჩუნების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 21 თებერვლის № 035/26 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სარეწაო საბჭოს და საქართველოს სარეწაო დამზღვევ სალაროს დასტოვონ 1941 წლისათვის არტელების, სარეწაო კოოპერაციის საბჭოებისა და საქართველოს სარეწაო დამზღვევი სალაროების კულტფონდის და მოგებათა ყოველკვარტალური ანარიცხების 1940 წელს მომქმედი ოდენობა საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოების მუშაობისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 17 მარტი № 419.
თბილისი.

---

71. ქართლის რაიონებში ხილის ნარგავების აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარდეს საქართველოს სსრ ქართლის რაიონში ხილის ნარგავების აღრიცხვა 1941 წლის 15 მაისიდან 1 აგვისტომდე.

2. რაიონებში ხილის ნარგავების აღრიცხვის ჩატარება დაეკისროს სათანადო რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოჰყონ სპეციალისტები—აგრონომები და აგროტექნიკოსები, რომლებიც ჩაატარებენ ხილის ნარგავების აღრიცხვას და ხელმძღვანელობას გაუწევენ აღმწერ ბრიგადებს კოლმეურნეობებში.

4. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და იმ სახელმწიფო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ხილის ნარგავები აქვთ, გამოჰყონ სპეციალისტები და აღმრიცხველები რეგისტრატორები თავიანთ მეურნეობებში ხილის ნარგავების აღრიცხვის ჩასატარებლად.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1941 წლის 10 მაისისათვის დაამთავრონ რაიონებში აღმრიცხველ რეგისტრატორთა შერჩევა და დამტკიცება, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნისათვის სოფლის აქტივი, სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსწავლეები, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და საცდელ სადგურების სპეციალისტები.

6. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს არაუგვიანეს 1941 წლის 10 მაისისა ჩაატარონ რეგისტრატორებისა და საკოლმეურნეო ბრიგადების ინსტრუქტაჟი.

7. დაევალოს ბლანკების გამომცემლობის საქართველოს განყოფილებას (ამხ. ხოფერიას) 1941 წლის 20 აპრილისათვის უზრუნველჰყოს ხილის ნარგავების აღრიცხვის მთელი ინსტრუმენტარიუმის ბეჭდის დამთავრება.

8. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ ხილის ნარგავების აღრიცხვის მუშაკები რაიონის შიგნით გადასაყვანი საშუალებებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოჰყოს ხილის ნირგავების აღრიცხვის მთელი ინსტრუმენტარიუმის დასაბეჭდათ 8000 ფურცელი ქაღალდი.

10. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოჰყოს მეხილეობის 3% აგროფონდიდან აღრიცხვის ფორმების დასაბეჭდათ და მასალების დასამუშავებლად 10 ათასი მანეთი და უზრუნველჰყოს რაიონები დაბეჭდილი სააღრიცხვო ბლანკებით.

11. ხილის ნარგავების აღრიცხვის ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და დაევალოს მას წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო ანგარიში ხილის ნარგავების აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 17 მარტი № 432.

თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. 28.

შეკვეთა № 924. ტირაჟი 1.600.